საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N1197 2026 წლის 5 ივნისი ქ. თბილისი

„2022 წლის 15 ნოემბრის „საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის საკრედიტო რესურსის ჩარჩოშეთანხმების“ №1 ცვლილების“ საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენისა და მომხსენებლებად გ. კაკაურიძისა და ე. გუნცაძის დანიშვნის შესახებ

1. „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 2^4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისათვის წარედგინოს „2022 წლის 15 ნოემბრის „საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის საკრედიტო რესურსის ჩარჩოშეთანხმების“ №1 ცვლილება“.

2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენილ ამ განკარგულების პირველ პუნქტში

აღნიშნულ ცვლილებაზე, საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლებად დაინიშნონ საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი კაკაურიძე და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ეკატერინე გუნცაძე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**